

თაღაზის ბაზარი



№1-2 2025 წ.



ინფორმაცია

2025 წლის ბიუჯეტის
ძირითადი მიმართულებები

თელავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 46 944 400 ლარით. მიმდინარე წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობები გადაანაწილებულია გადასახდელებში, რომლითაც წლის განმავლობაში განხორციელდება და დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები.

ბიუჯეტი მოიცავს რადენიმე ძირითად მიმართულებას:

ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ბიუჯეტის დაფინანსებით, გათვალისწინებულია: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა, წყალმომარაგების ღონისძიებები, გარე-განათების მოვლა პატრონობის/რეაბილიტაციის და ახლის მოწყობის ღონისძიებები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაფინანსება, დასუფთავების ღონისძიებები, პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მონაწილეობით ბიუჯეტირება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსება. ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში ბიუჯეტი 24,5%-ითაა გაზრდილი.

სკოლამდელი აღზრდის მიმართულებაზე ბიუჯეტი 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 9.6%-ით;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი – წლის განმავლობაში კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით გათვალ-

ისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, აგრეთვე, კულტურის და სპორტის ორგანიზაციების დაფინანსება. თანხები, გასულ წელთან შედარებით, 29.7%-ით გაიზარდა;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 18,8% – ით, რომლითაც წლის განმავლობაში იმუშავენ 20-ზე მეტი სოციალური პროგრამა. აგრეთვე, მოხდება სოციალური მიმართულებით სხვადასხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიმართულებით), ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სხვადასხვა პროგრამებს და ა(ა)იპ უმწევითა და უპოვართა სამსახურის დაფინანსება.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში თელავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 6 941 100 ლარით, მათ შორის, ძირითადად, საგადასახდო შემოსავლებით. ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები, რომელიც აისახება წლის განმავლობაში, რომლის შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა



თელავის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 3 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით, შეხვედრები 29 სოფლის მოსახლეობასთან, 22 ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წლის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია, რომელიც მოსახლეობის აქტიური ჩართულობითა და მათი სურვილის შესაბამისად ხორციელდება. პროექტები სოფლებში, კენჭისყრის პრინციპით შერჩევა. მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მაქსიმუმ 40 000 ლარით განისაზღვრება.

აღნიშნული პროექტი საქართველოს მთავრობის განკარგულებით ხორციელდება.

პროგრამის ბიუჯეტი, როგორც გასულ წლებში, შერჩეული პროექტების ეფექტიანობისა და გრძელვადიანი სარგებლობის გაზრდის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის, ლევან ანდრიაშვილის გადამწყვეტილებით, პროგრამაში ადგილობრივი თანადაფინანსების წილი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 100%-ს.

მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე, მათივე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდება: სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია, გარე განათების, საწყობი სისტემების, სანიაღვრე არხების, გზების, ტროტუარების და გზის სხვა შემადგენელი ინფრასტრუქტურის, სკვერების, სპორტული სივრცეების მოწყობა და სხვა.

2025 წელს, 22 ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად ჯამურად 956 000 ლარი გამოიყო.

გაგაცნობთ, 2024 წელს განხორციელებულ პროექტებს სოფლების მიხედვით:

აქურა – საფარგულებთან არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია;

ვანთა – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება;

ბუმეტი – შიდა საუბნო გზებზე სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა;

ქვ. ხოდაშენი – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა;

წინანდალი – ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობა;

კისისხევი – სკოლის ეზოს შემოღობვა;

ნასამხრალი – საბავშვო ბაღის ეზოში ფანჩატურებისა და ატრაქციონების მოწყობა;

კონდოლი – სასმელი წყლის ქსელის რე-

აბილიტაცია;

შალაური – შიდა საუბნო გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;

კურდღელაური – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა;

ლალისყური – სატრენაჟორო დაბაზის რეაბილიტაცია და ახალი ტრენაჟორების მოწყობა;

ფშაველი – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა;

ლეჩური – სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა;

ართანა – სასმელი წყლის რეზერვუარისა და ქსელის მოწყობა;

ნაფარეული – სასაფლაოს შემოღობვა;

სანიორე – სპორტდაბაზაში ახალი ტრენაჟორების მოწყობა;

ჯულანაი – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა;

ლაფანყური – სანიაღვრე არხისა და მილხიდების მოწყობა (გარდამავალი პროექტი);

თეთრწყლები – ნასოფლართან მისასვლელ გზაზე მილხიდის მოწყობა და გზის მოხრეშვა;

ნაღიკავრი – საფარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა;

სეროდანი, პანტიანი – სეროდანი-პანტიანის დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა;

კობაძე – სასაფლაოს შემოღობვა;

ვარდისუბანი – სანიაღვრე არხის მოწყობა;

გულგულა – სკვერის მოწყობა;

ყარაჯალა – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა;

რეისპირი – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა;

ახატელი – სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა;

იყალთო – ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა.

როგორც აღვნიშნეთ, დასრულდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შეხვედრები. მათი ჩართულობით გამართულ კრებებზე, თავად მოსახლეობამ საკუთარი სოფლისთვის, 2025 წელს განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტი დაასახელა. პრიორიტეტები ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს მოიცავს.

კრებების ფარგლებში შერჩეული სამუშაოების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასა და შესყიდვას, რის შემდეგაც, პროექტების განხორციელება დაიწყება.

ხანგრძლივი მიზანი ტურიზტების
სრულყოფილი ინფორმირება

ტურიზმის სფეროს განვითარება და მომსახურების გამრავალფეროვნება საქართველოს ტურიზმის მომავალს უფრო მასშტაბურს გახდის. საქსტატის მონაცემებით, 2024 წელს საქართველოში 5,091,732 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, ზრდა 2023 წელთან შედარებით +9%-ით მეტია, 2019 წელთან შედარებით კი ტურისტული ვიზიტების ზრდამ +0.2% შეადგინა.

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა – გასულ წელს საქართველოში 7,368,149 საერთაშორისო ვიზიტორს უმასპინძლა, რაც 2023 წელთან შედარებით 4.2%-ით მეტია. 2019 წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 78.7%-იანი აღდგენა აჩვენა.

2024 წელს, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით, თურქეთი ლიდერობს – საქართველომ ამ ქვეყნიდან 1,336,834 ვიზიტორი მიიღო. შემდეგ პოზიციებზე არიან: ისრაელი, ყაზახეთი, ინდოეთი, ჩინეთი, საუდი, არაბეთი, უზბეკეთი, აშშ, საფრანგეთი, საბერძნეთი, ქუვეითი, ლატვია და არაბთა გაერთიანებული საემიროები.

ტურისტული ნაკადების ზრდა თელავის მუნიციპალიტეტსაც შეეხო, რომელიც სტუმრებს უძველესი კულტურული მემკვიდრეობით, ისტორიული ღირსშესანიშნაობებითა და ღვინის ტურიზმის მდიდარი ტრადიციით იზიდავს. რეგიონის პოპულარობის ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს თელავის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

თელავის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი 2006 წლიდან ფუნქციონირებს და, როგორც ცენტრის ხელმძღვანელი დიანა ფხოველიშვილი აღნიშნავს, მისი მიზანია საერთაშორისო და შიდა ტურისტების სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებებისა და პროდუქტების შესახებ. „ჩვენი ცენტრი, ერთი მხრივ, წარმოაჩენს ისტორიულ, კულტურულ და სხვადასხვა სახის მემკვიდრეობებს, ასევე პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ტურისტული დანიშნულების ადგილებს. ცენტრის ყველა ვიზიტორს უსასყიდლოდ მიეწოდება მისთვის საჭირო ინფორმაცია და გადაეცემა ბეჭდური მასალა-რეგიონისა და ქალაქის რუკები, ბროშურები და გზამკვლელები.“ – ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი.

გარდა ადგილზე ვიზიტისა, ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ დისტანციური მომსახურებით – ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ცენტრი არა მხოლოდ ტურისტების ინფორმირებას, არამედ კერძო სექტორის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს. ტურისტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია განთავსებისა და კვების ობიექტებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, მუზეუმებზე, ღვინის საწარმოებსა და მცირე საოჯახო ტიპის მარნებზე, გიდებზე, დაცულ ტერიტორიებზე და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. „დიდი ინტერესი არის ღვინის ტურიზმის მიმართულებით“, – აღნიშნავს დიანა ფხოველიშვილი და დასძენს, რომ ვიზიტორები ხშირად ითხოვენ ინფორმაციას ღვინის ქარხნებსა და საოჯახო მარნებზე. ამასთანავე, ტურისტების ინტერესის საგანს წარმოადგენს სალაშქრო საფეხმავლო ბილიკები, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულება.

საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ხაზს უსვამს ტურიზმის მნიშვნელობას, როგორც თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომი-

კასა და რეგიონისათვის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრის მნიშვნელოვანი საშუალებას და აღნიშნავს: „ტურისტული პოტენციალის ზრდა და განვითარება, უშუალოდ ტურისტული სფეროსისა და პროდუქტის მიმართებულ ობიექტებთან და ინდივიდებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედი სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის. აღსანიშნავია თელავის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულების პოზიტიური დინამიკა, რაც აისახება ახალი განთავსებისა და კვების ობიექტების გახსნასა და სამუშაო ადგილების გაზრდილ რიცხვზე.“

რაც შეეხება გასული წლის მაჩვენებლებს, 2024 წელს თელავის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრს 4420 ვიზიტორი ეწვია. ტურისტული სეზონი აპრილის დასაწყისიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება, განსაკუთრებით აქტიური კი ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდეა. როგორც იგი გვიამბობს, ცენტრს ძირითადად სტუმრობენ დამოუკიდებელი მოგზაურები, რომლებიც თავად გეგმავენ საკუთარ მარშრუტსა და განრიგს. განსაკუთრებით გამოირჩევა ვიზიტორთა სიმრავლე ჩეხეთიდან, ესტონეთიდან, ლიტვა და ლატვიაიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ყაზახეთიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრი უმეტესწილად ისეთ მოგზაურებს მასპინძლობს, რომლებმაც გადაადგილების მარშრუტი, განთავსებისა თუ კვების ობიექტი თავად შეარჩიეს და უშუალოდ მოგზაურობის პერიოდში ამ მიმართულებებით გარკვეული კითხვები ან პრობლემები აქვთ.

ამ მხრივ, ინტერმუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილება და ამ დროს ენობრივი ბარიერი ერთ-ერთი გამოწვევაა.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანადაა შემცირებული მომართვიანობა ქალაქში არსებულ კონკრეტულ ძეგლზე ინფორმაციის მისაღებად, ვინაიდან დიანა ფხოველიშვილის თქმით, თელავში არაერთი ისეთი პროექტი განხორციელდა, რაც ტურისტებისათვის ქალაქის, ისტორიული და კულტურული ძეგლების შეცნობას მეტად ამარტივებს, კერძოდ:

- QR კოდები ქუჩებსა და ისტორიულ ძეგლებზე, ორენოვანი ინფორმაცია;
- საინფორმაციო დაფები და მანიშნებლები ტურისტულ ობიექტებთან;
- მრავალფუნქციური სკამები, რომლებიც აღჭურვილია Wi-Fi სისტემით, ელ. წყაროთი მოწყობილობების დასატენად და ქალაქის რუკები;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსადგომები/გაჩერებები, სადაც ქალაქის ტურისტული ლოკაციები და ისტორიული ძეგლებია დატანილი – ორენოვანი ინფორმაციით.

„აღნიშნული პროექტები, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა, ტურისტებისათვის კომფორტულ მოგზაურობასა და გადაადგილებას უწყობს ხელს, შესაბამისად, მცირდება ქალაქის სტუმრობისაშე შექმნილი პრობლემები და ბარიერები.“ – ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი.

აღსანიშნავია, რომ ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის ქოლგის ქვეშ შედის, რაც ნიშნავს იმას, რომ თელავის მუნიციპალიტეტი იზიარებს ქვეყნის მიერ არჩეულ ტურისტულ სტრატეგიებს, მიზნებსა და გეგმებს.

სფეროს განვითარების მიზნით, წლის განმავლობაში არაერთი შემეცნებითი ღონისძიება, ტურისტული ოპერაციებისა და ბიზნეს ობიექტებისთვის ტრენინგი, ე.წ ინფო ტური და მარკეტინგული კამპანია ხორციელდება. აღნიშნულ ატივობებში, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ტურისტული საინფორმაციო ცენტრი აქტიურადაა ჩართული.

დიანა ფხოველიშვილი სამომავლო გეგმებზე საუბრისას აღნიშნავს: „გეგმაობთ ისეთი ახალი პროექტების განხორციელებაზე, რაც თელავის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი მუნიციპალიტეტის პოზიციონირებას უწყობს ხელს – ახალი მარკეტინგული მასალები, კერძო ტურისტული ობიექტების ხელშეწყობა საერთაშორისო გამოფენებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით და სხვა.“

2025 წელს ტურისტული ნაკადის ზრდის პროგნოზირების შესაბამისად, თელავის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი ემზადება გაზრდილი მომართვიანობისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის ხარისხიანი მომსახურების განვითარების.

მარიამ მარაოუშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი: საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია



– ბატონო თენგიზ, უპირველეს ყოვლისა, როგორ შეაფასებდით გასულ წელს? როგორი იყო 2024 წელი თელავის მუნიციპალიტეტისთვის?

– 2024 წელი, უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესი იყო ჩვენი ქვეყნისთვის იმ მხრივ, რომ საქართველოს მოსახლეობამ აირჩია მე-11 მოწვევის პარლამენტი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა – იგი იყო გამჭვირვალე, კონკურენტუნარიანი და თავისუფალი. ჩვენი ქვეყნის წინაშე სერიოზული გამოწვევებია, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, წარმატებით დავძლევთ.

როგორი იყო გასული წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის – მიუხედავად იმისა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის წინაშე არაერთი გამოწვევაა, ჩვენი ეფექტური გადაწყვეტილებებით ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ყველა იმ პრობლემის აღმოფხვრას, რაც მოსახლეობას აწუხებს.

მოგეხსენებათ, რომ გასულ წლებში და განსაკუთრებით 2024 წელს თელავის მუნიციპალიტეტში საკრებულოს და მერიის ერთობლივი კოორდინაციით უპრეცედენტო მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რამაც ჩვენი მუნიციპალიტეტი განვითარების სხვა ეტაპზე გადაიყვანა, თუმცა მოსახლეობა კვლავ დგას იმ გამოწვევების წინაშე, რომლებიც ჩვენგან პრობლემებზე უფრო მეტ კონცენტრირებას, მათ იდენტიფიცირებასა და შესაბამისად ეფექტურ რეაგირებას მოითხოვს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი ამ გამოწვევათა უმეტესობას პასუხობს, თუმცა ბუნებრივია ყველა პრობლემის ერთბაშად სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია.

– როგორია საკრებულოს როლი 2025 წლის ბიუჯეტის შემუშავებაში, რამდენად პასუხობს მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი მოსახლეობის ინტერესებს?

– ყოველ წელს, ბიუჯეტზე საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ და ამ წლის ბიუჯეტიც არ იყო გამონაკლისი. მთავარ საფინანსო დოკუმენტზე ყველა კომისიამ, უმრავლესობის წევრებმა აქტიურად იმუშავეს და მერიამ საკრებულოს თითქმის ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. ვფიქრობ, რომ მაქსიმალურად, შესაძლებლობების ფარგლებში, შევძელით პრიორიტეტების და პროგრამების ისე გადანაწილება, რომ ის ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული ყოფილიყო. საბოლოო ჯამში შეიძლება ვთქვათ,

რომ თელავის მუნიციპალიტეტს დღეს აქვს ის მთავარი საფინანსო დოკუმენტი, სადაც მაქსიმალურად დაბალანსებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოთხოვნილება და ინტერესი.

თელავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საწყისი ბიუჯეტი 46 მილიონ 944 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის დეკემბერში დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით თითქმის 7 მილიონი არის გაზრდილი. ყველა პრიორიტეტული მიმართულებით საბიუჯეტო სახსრები გაზრდილია, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდება. გაზრდილია დაფინანსება ახალგაზრდების ჩართულობით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის კვ-

ტენტის სერვისის პროგრამა დაინერგა. საკრებულომ შესაბამისი ნორმატიული აქტი მიიღო. პერსონალური ასისტენტის სერვისის დაწესება სათანადო დახმარებას გაუწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. პერსონალური ასისტენტის სერვისი საქართველოში ახალი დანერგულია და თელავის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთია იმ თვითმმართველ ერთეულებს შორის, სადაც ეს მნიშვნელოვანი სერვისი შშმ პირებისთვის იმოქმედებს. საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა ამ



ლევისა და შესწავლისათვის, თანხები გაზრდილია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებზე და სხვ.

ბუნებრივია, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები გაგრძელდება. ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქალაქ თელავსა და სოფლებში მთელი რიგი ქუჩების მოასფალტება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლო მომავალში ქალაქ თელავში არ დარჩება ქუჩა, რომელიც არ იქნება მოასფალტებული.

უმჯაღოდ საკრებულოს რეკომენდაციით, ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა და აქტიურად დაიწყება მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარება, რაც ნიშნავს იმას, რომ საკრებულოს დადგენილებით მიღებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი მართვის წესი აღსრულება აქტიურ ფაზაში გადავა. ამ მიდგომის თანმიმდევრული განხორციელებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელი იქნება თელავის მუნიციპალიტეტი გახდეს ბევრად უსაფრთხო, მიუსაფარი ცხოველებისგან თავისუფალი, სადაც დაცული იქნება, ერთი მხრივ, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება და, მეორე მხრივ, მიუსაფარი ცხოველების უფლებები.

– კიდევ რა პრობლემების მოგვარება იგეგმება?

– ჩვენი ამოცანაა, რომ განვითარების ის ტემპი, რაც დაწყებული გვაქვს, შეუჩერებლად გავაგრძელოთ და განვითარების კიდევ უფრო სხვა რეალებზე გადავიყვანოთ თელავის მუნიციპალიტეტი, რაც ხელს შეუწყობს თითოეულ ჩვენი მოქალაქის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ თელავის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასის-

ტიმართულებით საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავეს და საბოლოო ჯამში მივიღეთ ისეთი პროგრამა, რომელიც განაპირობებს ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ეფექტური და შესაბამისი მომსახურების მიღებას.



– დამეთანხმებით, რომ მუნიციპალიტეტის წინაშე ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა.

ჩართულობა განიხილება, როგორც „მოქალაქეთა წვლილი“ ადმინისტრაციული

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, გავლენა მოახდინონ პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილებებზე. რა ღონისძიებებს ახორციელებს საკრებულო მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით?

– უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაციის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობის გასაძლიერებლად და დემოკრატიული პრინციპების განსამტკიცებლად. მოქალაქეების აქტიური ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ძალისხმევის მობილიზება ადგილობრივი გამოწვევების დასაძლევად არის წინაპირობა ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო, მუნიციპალიტეტის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სამართლებრივ აქტს იღებს. ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მისაღებად ჩვენ ყოველთვის ვინყებთ ადმინისტრაციულ წარმოებას, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საკრებულოს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ამის შესახებ ვაქვეყნებთ ინფორმაციას. მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა ამ პროცესში მოგვემართონ წინადადებით. გარდა ამისა, სამართლებრივი აქტების პროექტებს იხილავენ კომისიები და შესაბამისი სხდომების თარიღს ვაქვეყნებთ რამდენიმე დღით ადრე.

პერიოდულად, გვაქვს შეხვედრები მოსახლეობასთან, რათა არსებული გამოწვევები მათთან ერთად განვიხილოთ და ავსახოთ ეს ჩვენს გადაწყვეტილებებში.

აქტიურად მუშაობს გენდერული თანასწორობის საბჭოც, რომლის თავმჯდომარე ვარ და არაერთი ძალიან საინტერესო პროექტი განვახორციელეთ ახალგაზრდების, ქალების და მოქალაქეთა მონაწილეობით.

ასე, რომ საკრებულო მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით აქტიურად მუშაობს, თუმცა ამ გამოწვევის დაძლევის მიზნით ეს არაა საკმარისი. საჭიროა შე-მუშავდეს უფრო ეფექტური მოდელი, რაც

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში კიდევ უფრო გაზრდის მოქალაქეთა მონაწილეობას.

– მადლობა ინტერვიუსთვის, წარმატებებს გისურვებთ.

ინტერვიუ მოამზადა ნაწილი ცეცხლიშვილი

განათლება

სამეცნიერო მიღწეებისათვის დაჯილდოვანი



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სამ პროფესორს, აგრარულ დარგში მიღწეული სამეცნიერო წარმატებებისათვის, საპატიო სიგელები გადაეცა.

პროფესორების: მანანა კველიშვილის, მზია ლალოლიშვილისა და ლალი ელანიძის დაჯილდოება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა. პროფესორმა ქალებმა საპატიო სიგელები მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიიღეს.

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წელს დააწესა.

ამ დაჯილდოვებასთან დაკავშირებით, სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობაზე მცირე კომენტარი ვთხოვეთ პროფესორ **მანანა კვე-**

ლიშვილს, ასოცირებულ პროფესორებს – **მზია ლალოლიშვილს** და **ლალი ელანიძეს**.

– აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე აგრარული მიმართულებით მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები. მიღებული გვაქვს მონაწილეობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, ვართ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის (2019 წელი), საქართველოს პრეზიდენტის (2016, 2017 წლები), თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების (2018 წლიდან დღემდე) მონაწილეები. გამოკვლევები გვაქვს 1. შიდა კახეთის ზოგიერთ ზონაში გავრცელებული ვენახის ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა; 2. ნიადაგური ფაქტორის გავლენა ხორბლისა და პურის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე შიდა კახეთის ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის; 3. ხორბლის მოსავლიანობის განსაზღვრა კახეთის

რეგიონში და სხვა მსგავსი კვლევები, რომელთა საშუალებითაც მუშავდება თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებები. აქტიურად ვაგრძელებთ აგრარული მიმართულებით სამეცნიერო კვლევებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემად მიგვაჩნია მოძველებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებები, ასევე კლიმატური ცვლილებების გავლენა მოსავლიანობაზე. პრობლემის დაძლევა შესაძლებელია თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით, სადაც მოიაზრება კლიმატგონივრული აგროტექნოლოგიური ღონისძიებები.

აგრარული მიმართულებების სპეციალობების გამოწვევად მიგვაჩნია განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების დაკავშირების დეფიციტი, თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობების ნაკლებ ხელმისაწვდომობა; განსაკუთრებით კი – ამ სფეროთი ახალგაზრდების დაინტერესების ნაკლებობა.

ლალი ელანიძე – სამეცნიერო მიმართულება ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია; ძირითადი კვლევის სფეროები: ბიოტექნოლოგია, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ფენოლური ნაერთები; ფენოლური ნაერთების გამოყოფა, იდენტიფიკაცია და საკვები პროდუქტების გამდიდრება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით; არის რამდენიმე გამოგონების და მონოგრაფიის ავტორი.

„ – ქართველი ეთნოსის მიკრობიოტა ჩამოყალიბდა საქართველოში არსებული საკვები პროდუქტების შესაბამისად, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტების გავლენით, როგორიცაა ქართული ენდემური ჯიშის ხორბალი და ქართული ენდემური ჯიშის ყურძენი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენდემური ხორბლის სახეობების აღორძინებას, რაც ერთპიროვნულად საკუთარ გენეტიკურ საფუძველზე დაბრუნებას ნიშნავს. ქართული ენდემური ხორბლის – ზანდურის, თეთრი დიკას და ასევე, აბორიგენული ჯიშის-წითელი დოლის

საერთაშორისო პროექტის ფარგლებში



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტი „STEM კონცეფცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო პროგრამების განვითარებისათვის“, რომელიც დაფინანსებულია საქართველო 12Q-ინიციატივით, ინკლუზიურობა და ხარისხი კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) მიერ. პროექტი ითვალისწინებს მოქმედ და მომავალ მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებას

და საბიოტექნოლოგიებში, ფორმალური და არაფორმალური სწავლების პროცესში STEM მიდგომის დანერგვას.

პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტს ესტუმრნენ პარტნიორი კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის (ვარშავა) საბუნებისმეტყველო განათლების ექსპერტები აგათა როუნი და მალგორზატა რაქოვსკა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები დააკვირდნენ განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მოქმედ და მომავალ მასწავლებელთა ოთხ პარალელურ ჯგუფში მიმდინარე ტრენინგებს, სადაც სამიზნე ჯგუფი მუშაობდა ოთხ განსხვავებულ STEM პროექტზე: ნოტოტრონი, ანიმასკოპი, ეკონიუნერია და ნეირონიუნერია. ტრენინგებს უძღვებოდნენ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი: პროფესორი ნინო მოდებაძე, პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ნათია ბალათრიშვილი და ასისტენტ პროფესორი, დარეჯან მარგალიტაშვილი, ასევე, პარტნიორი შპს „სთიმიოთი“ ს წარმომადგენლები მედია აბრამიშვილი და მამუკა აფაქიძე. ტრენინგის დასრულების შემდეგ პოლონელმა ექსპერტებმა გამართეს დისკუსია პროექტის ტრენინგებთან შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში პოლონელი ექსპერტები, ასევე, იმყოფებოდნენ საბიოტექნოლოგიის ქალაქ თელავის №7 საჯარო სკოლაში და დაესწრნენ STEM კლუბის მუშაობას. კლუბური შეხვედრის მიზანი იყო ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების პერსპექტივების გაზრება. მოსწავლეებმა ააწყეს და გამოცდადეს წყლისა და ქარის ენერგიაზე მომუშავე მოდელები, ხოლო კლუბური მუშაობის დასრულების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელთან, ნათია ბალათრიშვილთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად გამართეს დისკუსია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მსგავსი პროექტების დანერგვისა და განვითარების აუცილებლობაზე, კლუბური მუშაობის ღირსებებსა და ღირებულებებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მარიამ რომანიშვილი, პროექტის გუნდის წევრი, უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ანა გიგაური, სკოლის დირექტორი მაია სილაგაძე და სკოლის STEM საგნების მასწავლებლები.

უახლოეს მომავალში, პროექტის გეგმის მიხედვით, მონაწილე საბიოტექნოლოგიის ალიჭურვება STEM ნაკრებებით, 3D პრინტერებითა და ფაბრიკაციის ლაბორატორიებით.

რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გამარჯვებული



თესაუს აკადემიური პერსონალის კიდევ ერთი წარმატება – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის პროექტი რუსთაველის ფონდის კონკურსის გამარჯვებულია.

პროფესორი ნინო კოჭლოშვილის სამეცნიერო პროექტმა შოთა რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და დაფინანსება მოიპოვა.

პროექტის „შოთა არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებული“ აკადემიური გამოცემა ფარგლებში, შოთა არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებულის ორტომეულის აკადემიური გამოცემა მომზადდება.

გამოცემაში გათვალისწინებული იქნება 1889-1927 წლების პერიოდიკაში მოპოვებული შოთა არაგვისპირელის მივიწყებული და მკითხველისათვის უცნობი ნაწარმოებები.

ორტომეულის მოხვედრა ნოველები, რომლებიც ავტორის საკუთარ გამოცემებში არ შეუტანია და ასევე, შემდგომი გამოცემების ყურადღების მიღმა დარჩა.

გამოცემას თანდართული ექნება სრული სამეცნიერო-საგნობარო აპარატი, ალტერნატიული იქნება პასპორტებით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და ლინგვისტური გამოკვლევით.

შოთა არაგვისპირელის თხზულებათა ორტომეულზე პროფესორი ნინო კოჭლოშვილი, პროფესორი ნუნუ გელდიამიშვილი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ელზა ზარდიაშვილი და ფილოლოგიის დოქტორი მაია კობიაშვილი იმუშავებენ.

ნელი ციხიშვილი

აზროვნების დიზაინის კურსი თელავის სტუდენტებისთვის

შერონ სქანელმა, Fulbright-ის გრანტის მფლობელმა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აზროვნების დიზაინის პრინციპებისა და პრაქტიკის შესახებ ლექციების კურსი ჩაატარა, კერძოდ, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს აზროვნების დიზაინის საფუძვლებს 6 კვირის განმავლობაში ასწავლიდა.

კურსის მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული პრაქტიკულ სამუშაოებში – მათ, თანატოლებთან ინტერვიუების საფუძველზე, გააანალიზეს და გამოავლინეს თელავის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სტუდენტებისთვის აქტუალური პრობლემები, მათ შორის ტრანსპორტისა და საცხოვრებლის საკითხები.

კურსის მონაწილეებმა იმსჯელეს გამოვლენილი პრობლემების საკითხების გადაჭრის შესაძლო გზებზე და შეიმუშავეს პრაქტიკული რეკომენდაციები.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტებს სერთიფიკატი და გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობისათვის, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამგზა-



ვრო ბარათები გადაეცათ.

ინგლისური ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი, ნინო სანდოშვილი, კურსის შესახებ თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს:

„ექვსი კვირის განმავლობაში ვესწრებოდი აზროვნების დიზაინის შესახებ გამართულ ლექციებს, რომლებიც ტარდებოდა ქალბატონი

მარიამ მარკოზაშვილი

მოახლოებული ადგილობრივი არჩევნები და დაცხნობრალიზაციის

სტრატეგიის განახლების აქტუალობა

ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ევ-როპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გამოგნებული განცხადება, რომ თურმე საქართველოში ადგილობრივი არჩევნების ჩატარება, თუკი მანამდე არ დაინიშნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, მიზანშეწონილი არ არის.

მგავს ანტიდემოკრატიულ, უარესიც – საზრისს მოკლებულ და ყოვლად უსაფუძვლო განცხადებებს ევროპული სტრუქტურებისგან მივეჩვიეთ და აღარ გვიკვირს. ძალიან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ასეთი განცხადებები, რადგან ეს სტრუქტურები საკუთარ თავსვე ეწინააღმდეგებიან – ღიად უპირისპირდებიან იმ მისიას, რისთვისაც არიან შექმნილნი. ამ შემთხვევაში ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი რადიკალურად თავს ესხბის იმას, რის დასაცავადაც არის დაარსებული: ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცებას, მუნიციპალური და სათემო განვითარებისთვის საუკეთესო პირობების შექმნას, მიუხედავად საერთაშორისო თუ ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი საშინაო პოლიტიკური კონიუნქტურისა.

ბუნებრივია, კონგრესი საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრას იმიტომ ცდილობს, რომ დღევანდელი, ერთობ საცოდავ დღეში ჩავარდნილი ევროპის სამარცხვინო „ბიგ ბოსებმა“ დაავალეს; მიზანიც გასაგებია – პოლიტიკური ესკალაციის მხარდაჭერა და ცეცხლზე ნავთის დასხმა საქართველოში, ამჯერად უკვე ადგილობრივი არჩევნების, რომელიც ოქტომბერში უნდა გაიმართოს და გამოირთება კიდევ, ლეგიტიმურობის შერყევის გზით. იმავეს ცდილობენ ჩვენი რადიკალური პარტიებიც, რომლებიც იქადნებიან – ბოიკოტს გამოუცხადებთ მუნიციპალურ არჩევნებს!

(ცხადია, ამ დესტრუქციუდანაც არაფერი გამოვა – რასაკვირველია, მოახლოებული ადგილობრივი არჩევნების ლეგიტიმურობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. დარწმუნებული ვარ, ეს არჩევნები, ნებისმიერ შემთხვევაში, მიიღებენ თუ არა მასში მონაწილეობას რადიკალური პარტიები, აუცილებლად იქნება კონსურენტული, რადგან მრავალი კანდიდატიდან თავისუფლად ამორჩევის საშუალება ქართველ ამომრჩეველს უთუოდ მოგვეცემა. თუნდაც იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტებში, მაჟორიტარულ ოლქებში დამუშეულია საკრებულოს წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ. ასევე, საინიციატივო ჯგუფს შეუძლია მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის წარდგენა.

2017 წლამდე არსებულ საარჩევნო სისტემასთან დაბრუნება უდავოდ გამართლებული ნაბიჯია. საქმე ისაა, რომ მუნიციპალიტეტის (ყოფილი რაიონის) საკრებულოში ყველა დასახლებას აუცილებლად ეყოლება მაჟორიტარული წესით არჩეული ერთი წარმომადგენელი მაინც, რაც 2021 წლის არჩევნებში შეზღუდული გახლდათ, რადგან მაჟორიტარული მანდატები შეიზღუდა და შესაბამისი ოლქები გამსხვილდა. მუნიციპალიტეტი უნდა განვიხილოთ, როგორც ის მსხვილი თანასაზოგადოება, რომელიც ადგილობრივი თემების – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქალაქების, სოფლების, დაბების საზოგადოებებისგან შედგება. თვითმმართველობა მათი, ადგილობრივი საზოგადოებების უფლება და ყოველ დასახლებას, რასაკვირველია მუნიციპალურ თანასაზოგადოებაში ამ უფლების რეალიზაციის საშუალება უნდა ჰქონდეს. ბუნებრივია, ამ ნაბიჯის გადადგმა, რომ ადგილობრივი თემების ეს უფლება ამჯერად უკეთ დაცულია, მისასალმებელია. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ასევე მუნიციპალიტეტის მერის კანდიდატურის წარდგენის უფლება, პარტიების გარდა, ეძლევა ამომრჩეველთა არანაკლებ 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს. ამდენად არჩევნების კონკურენტულობა არსებითად არის გაზრდილი, ვინაიდან მასში პარტიების გარდა დამოუკიდებელი კანდიდატებიც მონაწილეობენ.

რადიკალური პარტიების კომპრომეტირების გამო, მოსალოდნელია, რომ ბევრ დამოუკიდებელ კანდიდატს საკუთარ თემში წარმატების მოპოვების მნიშვნელოვანი შანსი ექნება. ეს წარმოადგენს კარგ შესაძლებლობასაც, რომ ამ ადგილობრივი არჩევნებით არსებითად განიმუხტოს პოლიტიკური დაძაბულობა, რაც კონლექტიური ნაცების მიერ დამახინჯებულმა პარტიულ-პოლიტიკურმა სისტემამ პოლარიზაციის კრიტიკულად დამიძღვრებითა და პოლიტიკაში ექსტრემიზმის დიდი დოზით შემოტანით შექმნა; მოქალაქეთა, როგორც ამომრჩეველთა, ასევე ასარჩევთა, ფართო მონაწილეობა არის საწინდარი ამ პოლიტიკური კრიზისის საბოლოოდ განმუხტვისა.

ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე არცთუ დიდი დროა დარჩენილი და ეს დრო მოსაზრდებლად ეფექტიანად უნდა გამოიყენონ როგორც პარტიებმა, ასევე ყველამ, ვინც არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეს.

ამასთან, გასათვალისწინებელია და კან-

დიდატებმა კარგად უნდა გააცნობიერონ: არსებობს მრავალი ხარვეზი, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას ახასიათებს და ხელს უშლის როგორც მუნიციპალური თანასაზოგადოების, ასევე ადგილობრივი თემების თვითორგანიზებას, რის გარეშე, მხოლოდ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების ძალისხმევით, სათემო და მუნიციპალური განვითარება, მეტი კეთილდღეობის მიღწევა საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში შეფერხდება და სულაც შეუძლებელიც იქნება. ამ ხარვეზებს ორი ძირეული მიზეზი აქვს – არასათანადო პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური გარემო და ასევე, თვითორგანიზებისათვის ადგილობრივი საზოგადოებებისა და მუნიციპალური თანასაზოგადოებების არასაკმარისი ნება.

ამ ხარვეზების დასაძლევად, სახელმწიფო 2018 წლიდან ახორციელებს დეცენტრალიზაციის სტრატეგიას. დეცენტრალიზაცია რთული პროცესია, რომელიც უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობების, რესურსებისა და შესაძლებლობების რაციონალურ გადანაწილებას ნიშნავს საერთო ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის, რაც სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით უნდა მოხდეს: სუბსიდიარობის თანახმად, უფლებამოსილებები, ასევე შესაბამისი რესურსები უნდა ჰქონდეს ხელისუფლების იმ დონეს, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოსახლეობასთან და ამავდროულად, გადასაწყვეტი ამოცანების შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლია იტვირთოს ამ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სათანადო პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე; ამისათვის ის უნდა ფლობდეს შესაბამის მატერიალურ და სოციალურ კაპიტალს, სათანადო რესურსებს, უნარებსა და შესაძლებლობებს. ამ სახელმწიფო სტრატეგიის, რომელიც 2018 წლიდან ხორციელდება და სწორედ 2025 წელს დასრულდება, შედეგად მნიშვნელოვანი წინსვლა ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვდი, რომ ვაკმაყოფილებთ ადგილობრივი თვითმმართველობის იმეგარ სტანდარტს, რაც არსებობდა უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე, მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო. **ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს მხრიდანაც, რათა გაუმჯობესდეს წარმატებული თვითმმართველობისათვის აუცილებელი პოლიტიკურ – სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური ეროვნული გარემო, დასრულდეს ცენტრალიზებული, დარგობრივი მმართველობის ტრანსფორმაცია ეფექტიან ადგილობრივ თვითმმართველობად; ასევე, რაც მთავარია, თავად მუნიციპალური თანასაზოგადოებებისა თუ ადგილობრივი თემების მხრიდანაც, საჭიროა მეტი საქმიანი აქტივობა, რათა ჩამოყალიბდეს მათი ავტონომიურობისთვის აუცილებელი მტკიცე სამოქალაქო ნება, მაღალი პასუხისმგებლობა და თვითორგანიზების ისეთი ხარისხი, რაც განვითარების უფრო მაღალ ტემპს სჭირდება. ამდენად, ადგილობრივი არჩევნების შემდგომ, ქვეყანას დასჭირდება დეცენტრალიზაციის შემდგომი ეტაპის უკვე ახალი და უფრო ამბიციური სტრატეგია.**

პრობლემები რომ გვაქვს და ცენტრალიზებული, დარგობრივი მმართველობის მიმეე ინერცია დაძლეული არ არის, უდავო ფაქტია. სწორედ ამ პრობლემების და ინერციის დასაძლევად ხორციელდება კიდევ დეცენტრალიზაციის სტრატეგია. შესაბამისი ცვლილებებისათვის ამ სტრატეგიაში სამი ძირითადი მიმართულებაა განსაზღვრული, კერძოდ:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა საჯარო საქმეების გადანყვეტაში, რაც უწინარესად უკავშირდება სუბსიდიარობის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებათა გაზრდას, ასევე, ამ უფლებამოსილებათა, როგორც ამას თვითმმართველობის ევროპული ქარტისა ამობს – „სისრულისა და ექსკლუზიურობის“ უზრუნველყოფას; ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, თუმცა ვერ ვიტყვდი, რომ დღეს ქვეყანაში არსებული გარემო ამ თვალსაზრისით ხელსაყრელია;

სამწუხაროდ, ამისგან ჯერ შორს ვართ და სერიოზული ბარიერები გადასალახი გვაქვს, განსაკუთრებით, პოლიტიკური დაძაბულობის კუთხით: ხაზგასმით უნდა აღვნიშნო – დეფორმირებული პარტიულ-პოლიტიკური სისტემა, პოლარიზაციის კრიტიკული ხარისხი, ე.წ. ოპოზიციის რადიკალიზმი და ზშირად ექსტრემიზმი, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც ხელს უშლის მუნიციპალური პოლიტიკის ავტონომიურობას და ცენტრალურ ხელისუფლებაზე არასაკონფევი დამოკიდებულების შემცირებას. ეს გასაკვირი არ გახლავთ, რადგან როცა ექსტრემისტული ზემოქმედება იზრდება, მთავრობის ბუნებრივი რეაქცია ხელისუფლების დონეების მეტი კონსოლიდაცია, რაც მმართველობით ბერეკეტების ერთ ხელში კონცენტრაციის ტენდენციას აძლიერებს და პირიქით – დეცენტრალიზაციის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდე-

ბულებას აღვივებს; ეს გასაგებია. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებას მეტი გაბედულება მართებს, რათა დეცენტრალიზაციის პროცესი არათუ არ შეფერხდეს, არამედ პირიქით, გაღრმავდეს კიდევ. მეტიც: დეცენტრალიზაცია უნდა მოვიზოროთ, როგორც პოლიტიკური ესკალაციის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა;

მაგალითისთვის აქ შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ძალზე მწვავე საკითხი – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რაც ჩვენს ქვეყანაში სრულად კვლავაც ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებაა; ამიტომაც, საპატრულო პოლიცია შს სამინისტროს გამგებლობაში არსებული მთლიანად ცენტრალიზებული სტრუქტურაა; ამ ფუნქციის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში გადატანას შეუძლია ცენტრალური ხელისუფლების ზედმეტი ტვირთის შემსუბუქება, პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი ჩართვა და შედეგად, ექსტრემიზმის უკეთ შეკავება; ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იქნებოდა საპატრულო პოლიციის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არა ერთაშმად, არამედ ეტაპობრივად გადაყვანა, ცხადია, ჯერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციის დეკონცენტრაციით (თუნდაც ნაწილობრივ, დელეგირების სახით თვითმმართველობისთვის გადაცემის გზით) და ბოლოს დეცენტრალიზაციითაც. ოღონდ იმ პირობით, რომ შსს აუცილებლად შეინარჩუნებს საპატრულო პოლიციის პროფესიული სტანდარტების დადგენისა თუ ამ სტანდარტების დასაცავად სათანადო საკადრო უზრუნველყოფის ფუნქციას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუნიციპალური გამგებლობის სფეროში ეტაპობრივად, ფრთხილად გადატანა კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისია და ასევე, საქართველოს სინამდვილისთვისაც სრულიად ლოგიკურიც იქნებოდა. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკუთარ, მაშასადამე ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს „შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით“ (იხ. ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი). ხოლო ასეთი საკითხების ექსკლუზიურად და სრულად რეგულირება იმთავითვე გულისხმობს მაღალ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზეც; რაც შესაბამის უფლებამოსილებებსა და ინსტრუმენტებს საჭიროებს.

2. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მეორე მიმართულება გახლავთ – ადგილობრივი თვითმმართველობის ხელთ არსებული რესურსების მათ უფლებამოსილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ევროპული თვითმმართველობის სტანდარტით, მატერიალური რესურსი – თვითმმართველობის ხელთ არსებული ფინანსები და ქონება თანაზომიერი უნდა იყოს მის უფლებამოსილებებთან, რაც თვითმმართველობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა და მისი ქმედუნარიანობის არსებითი კრიტერიუმია. ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მაინც მიუღწეველი დარჩა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთი მკაფიო მიზანი: კერძოდ, ის, რომ ქვეყნის მუნიციპალური ბიუჯეტი (ყველა მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტების ჯამი) შეადგენდეს ქვეყნის მშპ-ის 7%-ს მაინც. ფისკალური დეცენტრალიზაციის ფარგლებში, 2019 წლიდან მიმდინარე დღგ-ს განაწილების სისტემაზე გადასვლის შედეგად, რეფორმის პირველივე წელს (2019 წელი) მუნიციპალიტეტებმა მიიღეს 100 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მზარდია, ხოლო 2024 წელს მუნიციპალიტეტებმა მიიღეს დაახლოებით 1,6 მილიარდი ლარი, რაც 2018 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ მეტია. ცხადია, ეს მისასალმებელია, მაგრამ დეცენტრალიზაციის სტრატეგიით განსაზღვრული მშპ-ის 7%-იანი ორიენტირი ქვეყნის მუნიციპალური ბიუჯეტისთვის კვლავაც მიუღწეველი დარჩა. ამდენად, ფისკალური დეცენტრალიზაცია უნდა გაღრმავდეს; ამ მიმართულებით საუკეთესო ნაბიჯი იქნებოდა სამშემოსავლო გადასახადის სახელმწიფოდან ადგილობრივ გადასახადად გადატანა, რაც კარგად აპრობირებული და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკაა; ასევე, გასაღრმავებელია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში სახელმწიფო ქონების, უწინარესად, უძრავი ქონების, უპირველეს ყოვლისა – მიწის გადაცემის პროცესი; ამ თვალსაზრისით საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა მიწის ფუნდამენტური რეფორმა. კერძოდ, მიწის იმ ნაკვეთის, რაც ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია ანდა, ვინაიდან არ არის რეგისტრირებული, პრეზუმფციულად სახელმწიფო საკუთრებად მიიჩნევა, მთლიანად ადგილობრივი საკუთრებისთვის მიკუთვნება და მუნიციპალურ საკუთრებაში ავტომატურად რეგისტრაცია, თუ შესაბამისი ნაკვეთი არ წარმოადგენს რომელიმე

კონკრეტული სახელმწიფო უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელ მატერიალურ რესურსს, რაც სახელმწიფომ რეგისტრაციისას მყარი არგუმენტებით და კანონის საფუძველზე უნდა დასაბუთოს. ანუ: მიწის ფუნდამენტური რეფორმით უნდა შეიცვალოს საკუთრების პრეზუმფცია: მიწა და მასზე დამაგრებული უძრავი ქონება იმთავითვე მიჩნეულ უნდა იქნას ადგილობრივ საკუთრებად, თუკი არ დასაბუთდა, რომ ეს ქონება აუცილებელია სახელმწიფო კომპეტენციებისთვის. ცხადია, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, თუკი სამომავლოდ მას მუნიციპალური საკუთრების მიწა და უძრავი ქონება გადაუდებელი აუცილებლობით დაასჭირდა რომელიმე საკუთარი კომპეტენციისათვის, ეს ქონება გამოითხოვოს და იმ პირობით, რომ მოხდება მუნიციპალიტეტის სამართლიანი კომპენსაცია, სახელმწიფო საკუთრებად დაარეგისტრიროს. მიწის რეფორმა ასევე უნდა გულისხმობდეს, რომ მუნიციპალური საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწა მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობაში, სარგებლობის უფლებით (ოღონდ გასხვისების უფლების გარეშე) გადაეცემათ იმ ადგილობრივ თემებს, რომელთა საზღვრებშიცაა ეს მიწა. მიწაზე სათემო მფლობლობის აღდგენა, რაც ისტორიულად, ვიდრე გასაბჭოებამდე ჩვეული წესი გახლდათ ქართული მიწათმფლობელობისა, სოფლის შენარჩუნებისა და სათემო განვითარების სავალდებულო პირობაა; უწინარესად ეს შეეხება საძოვრებს, სათიბებს, სარეზერვო სასოფლო-სამეურნეო მიწას, ასევე ტყის და წყლის ფონდის მიწებსაც.

3. სტრატეგიის მესამე მიმართულებაა – ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების განვითარება. ამ თვალსაზრისითაც ბევრი გავკეთდა: შეიქმნა და ყველა მუნიციპალიტეტში დაიწერვა ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი მუნიციპალური პლატფორმა; საინვესტიციო პროფილი შექმნილია 22 მუნიციპალიტეტში; სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის 10 000-მდე საჯარო მოხელე; ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტები შემუშავებულია 33 მუნიციპალიტეტში; 15 სამიზნე მუნიციპალიტეტში დაიგეგნა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, გაძლიერდა ადგილობრივი უწყებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები, უნარები და განხორციელდა სამოქალაქო ჩართულობის კამპანია; შეიქმნა მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი და სხვ.

ეს ყველაფერი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ საქმარის არ არის. მოქალაქეთა ეფექტიანი ჩართულობისთვის აუცილებელია, რათა ადგილობრივი თემი სუბიექტს წარმოადგენდეს. ეს შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა ორიენტიული ფორმით: თემი, როგორც მესაკუთრეთა ამხანაგობა, ე.წ. კონდომინიუმი, რომელიც ფლობს და სარგებლობს სათემო ქონებით; თემი, როგორც სამეურნეო ამხანაგობა (კოოპერატივი) – აქ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეტი ხელშეწყობაა სასურველი; თემი, როგორც სამოქალაქო ამხანაგობა – სათემო ორგანიზაციების, რომელთა მიზანია სამოქალაქო აქტივობში სათემო განვითარებისა და მეტი სოციალიზაციისთვის, ე.ი. თემის დონეზე სოციალური კაპიტალის დასაგროვებლად, ყოველმხრივ ნახალისებული და ხელშეწყობილი უნდა იქნას, განიხილებოდეს, როგორც უცხოური აგენტურის როლის შემსრულებელი უკვე გავრიანად სახელგატყხილი არასამთავრობო სექტორის ყველაზე ღირსეული ალტერნატივა.

ადგილობრივ არჩევნებში წარმატებას უნდა მიაღწიონ იმ ძალეებმა, მათ შორის – ამ ეტაპზე, დამოუკიდებელმა კანდიდატებმაც, ვინც კარგად აცნობიერებს ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე არსებული გამოწვევების ამ სპექტრს და მზადაა, დეცენტრალიზაციის პროცესის გასაღრმავებლად იზრუნოს. ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად კონკურენტუუნაროა მთლიანად გაკოტრებული ოპოზიცია, რომელიც არად დაგვიდევთ საკუთარივე ამომრჩევლის ნებას და საპარლამენტო მანდატები უკვე მეორედ, ისევე, როგორც 2020 წელს, უკან, სახეში მიაყარა ხალხს – რაც მაიდანში ოდნავ ნდობასაც, თუკი ეს ვინმეს, ჩემად გასაცირად, მაინც შეჩერენია, უკვე საზრისს მთლიანად აცლის და სრულ აბსურდად წარმოაჩენს. ასევე უეჭველია, რომ ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა ყველაზე უკეთ ისევ „ქართულ ოცნებას“ თუ ხელწინფება და ოდენ მას შეიძლება ჰქონდეს ინტერესი, მოტივაცია და უნარი, თანმიმდევრულად განახორციელოს დეცენტრალიზაციის სტრატეგია და შექმნას მუნიციპალური თუ სათემო განვითარებისთვის უკეთესი პირობები. იმედი ვიქონიოთ, რომ მას ამ ადგილობრივ არჩევნებში თუ არა, სამომავლოდ მაინც გამოუჩნდება ღირსეული კონკურენტი.

დავით ზარდიაშვილი
წყარო: “Georgia First NEWS”

კულტურა

კარლო ქართველიშვილი – პარსკვლავოსანი მსახიობი იუბილარია



„სამი მუზის მსახური“

თელავის თეატრის გამორჩეული მსახიობი, მხატვარი და პოეტი, კარლო ქართველიშვილი დაიბადა 1947 წლის 16 თებერვალს სოფელ კურდღელაურში. ბატონი კარლო გაზარდა დედამ, ეკატერინე ქართველიშვილმა, რომელმაც სკოლის პირველ წელს შვილი სოფელ კურდღელაურის სკოლაში შეიყვანა, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ქალაქ თელავის №1 საჯარო სკოლაში გადაიყვანა, სადაც მან წარმატებით დაასრულა სწავლა.

გზა – ხელოვნებისკენ

კარლო ქართველიშვილმა სკოლასთან ერთად პარალელურად დაამთავრა ქალაქ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა. სანამ ჯარში იმსახურებდა, ჩააბარა ზაქარიაძის სახელობის სასწავლებელში, ხოლო როდესაც დაბრუნდა ჯარის 2 წლიანი მსახურებიდან, კვლავ სწავლას მიჰყო ხელი. „თავდაპირველად სამხატვრო-საგრიმირო ფაკულტეტზე ჩავაბარე, რომელიც იმავე წელს უნდა დაარსებულიყო, მაგრამ კურსის გაუქმების გამო შემოგვთავაზეს, ვისაც გასურთ, თეატრალურ ფაკულტეტზე გადაიყვანონ, მეც დავთანხმდი.“ – იხსენებს ის.

სტუდენტობის წლები ბატონი კარლოსთან

ვის საინტერესო მოგონებებს უკავშირდება, განსაკუთრებით გრიმის პედაგოგ, მირიან დედანაშვილთან ურთიერთობა. იმ პერიოდისთვის კარლო კედლის გაზეთებს აფორმებდა, რაშიც მხატვრობის ნიჭი ძალიან ეხმარებოდა. კურს-დამთავრებულობისას, პატივისცემის ნიშნად, მან თავის პედაგოგს ლექსიც კი მიუძღვნა, სადაც ის თავის „საქმიანობასაც“ ახსენებს:

„ერთკულებტიან ლექსს აბა
მითხარ თქვენ როგორ გაკადრებთ,
ისე მასწავლეთ ეგ გრიმი,
რომ ბოლოს თქვენ დაგემგვანეთ.
გამახსენდება ყოველთვის
უკან რა ყოფით დამდეგდი,
„სახალხო კონტროლს“, „ხელოვანს“,
სანამ არ გავაფორმებდი,
ახლა მივდივარ, ნახვამდის,
მეყო რაც ვვლახნე, ვიკითხე,
თუ გაფორმება დაგჭირდეს,
თელავში ჩამომაკითხე.“

ეს ლექსი მირიან დედანაშვილმა გულის ჯიბეში შეინახა და როდესაც წლების შემდეგ ბატონ კარლოს ოპერისა და ბალეტის თეატრში შეხვდა, უთქვამს, შენი ლექსი ისევ გულის ჯიბეში მაქვსო.

ოჯახი და პირადი ცხოვრება

1981 წელს კარლო ქართველიშვილი დაოჯახდა ზიზი ზაიაშვილზე, რომელიც პროფესიით ექთანია. მათ შეეძინათ ქალიშვილი – ეკა ქართველიშვილი, ის ამჟამად ინგლისური ენის კერძო რეპეტიტორია. ბატონ კარლოს შვილიშვილი ლუკა ქართველიშვილი წარმატებული მოსწავლეა და დაინტერესებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროთი.

თეატრალური კარიერა

მსახიობმა თავისი პირველი თეატრალური გამოცდილება სკოლის პერიოდში მიიღო, როდესაც პექტორ მალოს „უსახლკაროს“ დადგმაში პოლიციელის როლი შეასრულა. „პირველი მტვერი თელავის თეატრში ჩავყლაპე“ – აღნიშნავს ის.

ბატონმა კარლომ 1970 წელს, სწავლის დასრულების შემდეგ, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიწყო მუშაობა და დღემდე ერთგულად ემსახურება მშობლიურ თეატრს.

მსახიობი განსაკუთრებით გამოარჩევს ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნაში“ შესრულებულ ზაზა ნაკაშიძის და მოგვიანებით – ჭყიშვილის როლებს. როგორც თავად აღნიშნავს, 300-ზე მეტი სხვადასხვა როლი ითამაშა, ხოლო

სპექტაკლში „ჯერ დაცოხნენ მერე იქონინეს“ შესრულებული ივანეს როლით მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, რისთვისაც „სპექტაკლში უცვლელად მონაწილეობისთვის“ დიპლომიც აქვს მიღებული.

„სცენაზე დგომა ძალიან საპასუხისმგებლოა, დიდი შრომაა მასში ჩადებული. მსახიობისთვის ჯილდო მაყურებლის ტაშია, რომელიც მე არ მაკლდა. როდესაც აფიშაზე შენი სახელი და გვარი წერია, მაყურებელი უფრო მეტს ელის. სცენაზე ყველაფერი ზედმიწევნით უნდა შეასრულო, მაგრამ არც ძალიან გადაჭარბებულად, ეს, პირიქით, უარესია“- აღნიშნავს თელავის თეატრის მსახიობი.

როგორც გამოცდილი მსახიობი, ბატონი კარლო ახალგაზრდებს ურჩევს:

„გიყვარდეთ თქვენი საქმე და იშრომეთ დაუღალავად, იყავით შემართებული და თქვენი შრომა აუცილებლად მოიტანს შედეგს. ყველას ვუსურვებ, რომ მათ მიერ დასახული მიზნები ლამაზად და ღირსეულად განახორციელონ.“

მსახიობი თვლის, რომ თეატრალური კარიერა, სახელოვნებო ნიჭთან ერთად, შრომას, თავდადებას და მუდმივ განვითარებას მოითხოვს.

მხატვრობა და პოეზია

„ბავშვობიდან მეხერხებოდა ხატვა და ამანაც მომცა სტიმული, რომ ამ განხრით ნავსულიყავი. ვმუშაობ ფერწერაში. ბევრ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა, რასაც ყველა გამოფენაზე წარმოდგენილ შთაბეჭდილების ნიშნში გაკეთებული სასიამოვნო ჩანაწერებიც მოწმობს“ – იხსენებს ის.

გარდა მხატვრობისა, ბატონი კარლო ბავშვობიდან წერს ლექსებს და დიდი სურვილი აქვს საკუთარი პოეტური კრებული გამოსცეს.

ჯილდოები და აღიარება

კარლო ქართველიშვილს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული როგორც თეატრალურ, ისე სამხატვრო სფეროში, სადაც ლაურეატის ნოდებაც აქვს მიანიჭებული, ხოლო 2020 წლის 7 ნოემბერს ბატონი კარლოს სასცენო მოღვაწეობის 60 წლის აღსანიშნავად, თელავის თეატრის წინ მისი ვარსკვლავი გაიხსნა. „ეს ჩემთვის დიდი პატივია. როდესაც ხედავ, რომ შენი შრომა დაფასდა, ეს ყველაზე დიდი ჯილდოა მსახიობისთვის.“ – ამბობს ის.

კარლო ქართველიშვილს „სამი მუზის მსახურს“ უწოდებენ, რაც მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობის აღიარებას უკავშირდება. „თელავის გაზეთი“ ულოცავს დაბადების დღეს და წარმატებებს უსურვებს ამ ნიჭიერ შემოქმედს.

ლიონისა სტუმრობა

წლებადღეული შემოდგომაც დაიხუნძლა, უხვად მოდის, მახელებს და... ლხინით მავსებს, ჩემს მარანში შემობრძანდა ღიონისე და...მთხვოს სასმისს, მათრობელა ღვინით სავსეს. მაქეფა, იმ ღამეს, რა დამავინყებს, ვახტანგურად დაილია სასმისები, გავიხსენეთ ხაიამის სტრიქონები, ამ სტუმართან ვერ მოიწყენ, არც ითვრები. ყოვლადწმინდის სადღეგრძელო როცა შევსვით, გაგვიჭირდა ერთმანეთთან განშორება, ვერ ვიხსენებ, ცხადი იყო თუ – სიზმარი, ტკბილად მახსოვს ღიონისეს ეს სტუმრობა.

ტირიფს

ისევ ისე რომ ხარ, თავდახრილი, გეყო დარდი და... გეყო გოდება; შენ რომ გიცქერი, ის, ძველი სევდა და... სიყვარული მომაგონდება. მომხვიე – შენი, ნაზი მკლავები, სევდა გაქრეს და...გადაიკარგოს... სიხალსე რომ ქონდეს ყველა გულს, მიიღე თხოვნა შენ, ჩემო კარგო!

ჩემო ერო, ჩემო ბერო,
ქართველებო, ჩვენი მშვენიო,
სუყველაფერს ეშველება,
არყოფნა უსამველო...

ქართულ თეატრს

რა დიდებული კულტურული წარსული გქონდა, როგორ აღსდექ და საუკუნოდ მხრები გაშალე. ქართულ თეატრის ქომაგი ვარ ნუთუ ვერ მიცან? აჰა, შენს გზაზე მოვდივარ და არ დავიღალე.

შენი ჟანრები:კომედია, დრამა, სატირა; ინსცენირება ტრაგედია თუ ვოდევილი, ჩვენს დრამატურგებს ყველა ჟანრში უწევდათ ხელი, და მათგან უფრო უკეთესს და ახალს მოველი.

შენ ეროვნული ხელოვნების დარგი ხარ ერთი, რომელ კუთხეში არ უგრძენიათ სიამე შენათა. ჩვენი ცხოვრების სარკე ხარ და სარკედ დარჩები; შენ არ მოკვდები, იარსებებ ჩვენს ხალხთან ერთად.

თეა თევდოროაძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა თელავის ისტორიულ მუზეუმში

6 თებერვალს თელავის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გაიხსნა თეა თევდოროაძის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო აღმასების მოზაიკით შექმნილი უნიკალური ნამუშევრები. ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათის იყო, რომლის შედეგად შემოსული თანხის ნაწილი გაჭირვებულ მოხუცებულებს მოხმარდებათ.

გამოფენის გახსნის დღეს, მუზეუმში მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ლატარიაში, რომლის შედეგად, დღის ბოლოს, გამარჯვებულს საჩუქრად ერთ-ერთ ნამუშევარი გადაეცა.

გამოფენის გახსნისას სიტყვით გამოვიდა თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი, გურამ ურჩუხიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა თეა თევდოროაძეს ამ ულამაზესი ექსპოზიციისთვის. მან აღნიშნა, რომ ნამუშევრები მართლაც საოცარი სიფაქიზით და გემოვნებით იყო შესრულებული. „თითქმის ანგელოზებს უმუშავიათო“ – განაცხადა მან და გამოფენის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოზაიკური ხელოვნების კონტექსტში წარმოაჩინა. მუზეუმის დირექტორმა ასევე ისაუბრა მოზაიკის ისტორიულ ფესვებსა და მის გავრცელებაზე, საიდანაც ეს ხელოვნება საქართველოშიც მოხვდა.

ღონისძიებას დაესწრო თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ფიქრია ყუშიტაშვილი, რომელმაც ავტორს მიულოცა პერსონალური გამოფენა და ხაზი გაუსვა თელავის ისტორიული მუზეუმის როლს ახალგაზრდა ხელოვანების ხელშეწყობის საქმეში. მან განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოხატა დახვეწილობის და იმ კოლოსალური შრომის მიმართ, რაც თითოეული ნამუშევრის უკან დგას. ქალბატონმა ფიქრიამ აღნიშნა, რომ გამოფენის ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარი მისთვის გუსტავ კლიმტის „კოცნა“ იყო, რომელიც განსაკუთრებული ჰარმონიით გამოირჩევა.

გაგაცნობთ გამოფენის ავტორს: თეა თევდოროაძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში. განათლება მიიღო ქუთაისის მე-10 საჯარო სკოლაში, რის შემდეგაც დაამთავრა ქუთაისის სამედიცინო კოლეჯი და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, სადაც მოიპოვა ფარმაცევტის კვალიფიკაცია. გარდა ამისა, კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტის კურსების გავლის შედეგად ქალბატონი თეა ამჟამად სწორედ ამ მიმართულებით საქმიანობს. როგორც თავად განაცხადა, თავდაპირველად ჯვარედინი ქარგვით იყო დაინტერესებული, თუმცა 2019 წლიდან აღმასების მოზაიკით სურათების შექმნა დაიწყო. მისი პირველი პერსონალური



გვირდი მოაგზავს მარიამ მარკოზაშვილმა

ბანახლებული ინფრასტრუქტურა

იყალთოში ჩაახილიბირებული ბიბლიოთეკა გაიხსნა

იყალთოს ბიბლიოთეკამ ახალგარემონტებულ სივრცეში გადაინაცვლა. მკითხველებს, სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებს, ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ბიბლიოთეკის სხვა სტუმრებს განახლებული წიგნადი ფონდი, ინტერნეტი და თანამედროვე ინფრასტრუქტურა დახვდათ.

როგორც ლონისძიების გახსნაზე თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა ანა იორდანიშვილმა განაცხადა, მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, სოფლებში არსებული ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია, სამკითხველო კუთხეების და წიგნადი ფონდის განახლებაა. ბიბლიოთეკის თანამედროვე ინფრასტრუქტურით და ტექნიკით აღჭურვა კი ახალგაზრდა თაობებში წიგნიერების პოპულარიზაციას ემსახურება. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, ლევან ანდრიაშვილს საბიბლიოთეკო ქსელის ინფრასტრუქტურის განახლებაში მხარდაჭერისათვის და იყალთოს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს –

ლელა დედაბრიშვილს ნაყოფიერი საქმიანობისთვის. თავის მხრივ, ლელა დედაბრიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთი თანამედროვე და კომფორტული საბიბლიოთეკო სივრცე ახალი სიცოცხლის შექმნის ტოლფასია, სადაც უფრო მეტი შემოქმედებით

მარიამ გიგოლაშვილის და ქეთა ჩხუბიან-იშვილის მიერ გამოხატული გულწრფელი სიხარული.

იყალთოს რეაბილიტირებული ბიბლიოთეკის გახსნას თელავის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან ანდრიაშვილი



თი თუ საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩატარდება. იყალთო თავისი ისტორიით, კულტურული ტრადიციებით ნამდვილად იმსახურებს კარგ სასწავლო და კულტურულ დაწესებულებებს. ამ საქმის ინიციატორს ანა იორდანიშვილს კი მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ მისი მოსვლის დღიდან სულ სხვა ელფერი შეიძინა მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ. ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის საქმეში გაწეული დახმარებისთვის, მან, აგრეთვე, მადლობა გადაუხადა სოფლის რწმუნებულს გოჩა ქააძეს.

დამსწრეთაგან ბევრი მიესალმა შეკრებილ სტუმრებს, მაგრამ ყველაზე უფრო ემოციური იყო იყალთოს საჯარო სკოლის მოსწავლეების – მარიამ ლაჩაშვილის,

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო, შეკრებილ საზოგადოებას განახლებული სივრცის გახსნა მიულოცა და სოფლად ბიბლიოთეკის არსებობის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ჩვენ მუდმივად ვცდილობთ განვაახლოთ საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული სივრცეები, რათა უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს მშობლიური სოფლის ცხოვრებაში და აქტივობებში. რამდენიმე ბიბლიოთეკა უკვე განახლდა, როგორც თელავში, ისე სხვადასხვა სოფელში. ამ წელს დაიწყება წინანდლის და თელავის ბიბლიოთეკების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, რომლისთვისაც თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. იმდენად კარგი ინფრასტრუქტურა



რა იქმნება სოფლის ბიბლიოთეკებისთვის, რომ უნდა ვიფიქროთ სხვადასხვა რაიონული მასშტაბის ღონისძიებების თელავიდან გადმოტანაზე და ამ სივრცეებში ჩატარებაზე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილმა, მილოცვასთან ერთად, საკუთარი საბავშვო წიგნები საჩუქრად გადასცა იყალთოს სკოლას და ბიბლიოთეკას.

შეკრებილი საზოგადოება მუნიციპალიტეტის მერს სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრა, სხვადასხვა ინიციატივებზე, პროექტებზე. ლევან ანდრიაშვილი დაჰპირდა, რომ უახლოეს ხანში, ერთად, უფრო ვრცლად განიხილონ დაყენებული წინადადებები და შეძლებისდაგვარად დახმარებაც აღუთქვა მათ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით, სოფლებში არსებული ბიბლიოთეკების განახლების პროცესი მიმდინარე წლის განმავლობაში გაგრძელდება.

ბიბლიოთეკის ისტორია



სოფლის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა იმ ადამიანების ღვაწლი და ცხოვრება, ვინც ამ სოფლის ისტორიას და სიკეთეს ქმნიდა. როდესაც იყალთოს ღირსეულ ადამიანებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ტიტუკო მაყაშვილი. იყალთოში იყო ასეთი კაცი – ქველმოქმედი, განმანათლებელი და მშრომელი გლეხობის მოსარჩლე. სოფლის დაწყებითი სკოლა მან გაახსნევინა 1911 წელს. პირველ ქოხ-სამკითხველოს გახსნასაც

მანვე ჩაუყარა საფუძველი, 1916 წელს. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მაშინდელი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის გახლდათ დიდი ილია ჭავჭავაძეც, რომელსაც იყალთოელ მასპინძელთან წიგნები მოჰქონდა, შემდეგ კი მის სახლში დიდი სჯა-ბაასი იმართებოდა.

იმდროინდელი სამკითხველო განათავსებული ყოფილა კერძო ბინაში, რომელიც ეკუთვნოდათ ძმებს – არჩილ და გიგლა არსენაშვილებს. ვინაიდან ამ ბინაშივე იყო სოფლის „კანტორა“ (ასე უწოდებდნენ მაშინ სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ადგილ-სამყოფელს), ბიბლიოთეკას ერთი პატარა ოთახი ეკავა და მისი პირველი ბიბლიოთეკარი გახლდათ ნინა წინამძღვრიშვილი. მას რვანლიანი განათლება მიღებული ჰქონდა თელავის „წმინდა ნინოს“ სახელობის რუსულ ქალთა გიმნაზიაში.

თავდაპირველად სამკითხველოს 300 წიგნი გადასცეს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე იყო შეგროვილი. რაც შეეხება ინვენტარს, არც მაგიდა და არც სკამი არ გააჩნდა სამკითხველოს და ბიბლიოთეკარებს წერა-კითხვა ფანჯრის რაფაზე უხდებოდათ. შემდგომში წიგნები და ინვენტარი სამკითხველოს უსასყიდლოდ გადასცა ვახტანგ მაყაშვილმა, იყალთოელმა პროფესორ-ინჟინერმა.

იმდროინდელი ბიბლიოთეკარის ხელფასი შეადგენდა 10 მანეთს.

წიგნადი ფონდი ნელ-ნელა იზრდე-

ბოდა, რომელიც აღარ ეტეოდა ოთახში და საჭირო გახდა უფრო დიდი ფართის შენობა ექირავებინათ. ბიბლიოთეკამ ბინა დაიდო იყალთოს მკვიდრის, ნიკო დემურხანაშვილის ბინაში, ფონდი კი ჩაიბარა გიორგი თათულიშვილმა.

1921 წელს ბიბლიოთეკა კლუბის შენობაში გადავიდა და ფონდი თამარ ჭიბალაშვილმა გადაიბარა, მანვე შეითავსა კლუბის გამგეობაც. ვინაიდან კლუბის შენობა ძველი იყო, ბიბლიოთეკა დიდი ხანი არ ყოფილა იქ და ერთსართულიან, ცალკე შენობაში გადავიდა. წიგნადი ფონდის მატება ძირითადად შემონიშნულობის გზით ხდებოდა. ქ-ნი თამარი განსაკუთრებული მონდომებით ზრუნავდა სასოფლო ბიბლიოთეკის განვითარებაზე, მან ათეული წელი შეაღია საბიბლიოთეკო საქმეს.

სოფლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნა წიგნებზე და სოფლის მაშინდელი ხელმძღვანელის, ალექსი ჭიბალაშვილის თაოსნობით გაიხსნა მეორე ბიბლიოთეკა სასოფლო საბჭოს შენობის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც ზიზი ქიტუაშვილმა გადაიბარა.

1953 წელს ბიბლიოთეკა ცალკე, ერთსართულიან შენობაში გადავიდა, რომლის უცვლელი ბიბლიოთეკარი (ბიბლიოთეკის არსებობის ბოლომდე) იყო გულნარა ბატიშვილი. ქ-ნი გულნარა, გარდა იმისა, რომ თავისი საქმის პროფესიონალი გახლდათ, შემოქმედებითი ნიჭითაც გამოირჩეოდა. მან ბევრი საინტერესო ჩანახატი და ლექსი შექმნა, რომელიც დღემდე ბიბ-

ლიოთეკის ალბომში ინახება.

მეორე ბიბლიოთეკას, რომელიც სოფლის ცენტრში ახალი კლუბის შენობაში იყო განთავსებული, ნაზი ბერძენაშვილი ხელმძღვანელობდა. ათეული წლების მანძილზე ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი თავის მდიდარ პროფესიულ გამოცდილებას უმურველად გადასცემდა ახალგაზრდა თაობას. 1992 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ბიბლიოთეკა მე ჩავიბარე. 2005 წლის თებერვლამდე ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა სოფლის ერთ-ერთ უბანში, ფინურ ბინაში. ვინაიდან შენობა ყოვლად დაუცველი იყო, მოახერხეს მისი გატეხვა და წიგნების გატანა.

ამის შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით, ახალი ფართის მოძიებაში, ნელინადახვერის განმავლობაში საკუთარ სახლში მქონდა განთავსებული მთლიანი წიგნადი ფონდი და, ამავდროულად, ვაწარმოებდი ინვენტარიზაციას.

2007 წელს ბიბლიოთეკა გადავიდა სოფლის საკრებულოს შენობის პირველ სართულზე და დღემდე ამ შენობაში აგრძელებს მუშაობას.

მე, როგორც ბიბლიოთეკარი, ძალასა და ენერგიას არ ვიშურებ ჩემი ბიბლიოთეკის განვითარებისთვის, რომ იგი ფუნქციურად უფრო დატვირთული გაეხადო და ახალგაზრდებისთვის საყვარელ ადგილად ვაქციო.

ლელა დედაბრიშვილი,
იყალთოს ბიბლიოთეკის გამგე

სპორტი

დაბი ფროდიაშვილის მორიგი წარმატება



თელაველი ტყუპი დები, მარიამ და სალომე ფროდიაშვილები ტყეყის სროლაში განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩევიან. როგორც მარიამი და სალომე იხსენებენ, ბავშვობაში იარაღთან დიდად შეხება არ ჰქონიათ, მამას უყვარდა იარაღები და აქედან გამომდინარე, იცოდნენ მათთან სწორი მოპყრობა. სპორტის მიმართ სიყვარულის გამო ხშირად მონაწილეობდნენ სკოლებს შორის გამართულ შეჯიბრებებში და ერთ-ერთი იყო ტყეყის სროლაში შეჯიბრიც, საიდანაც იწყება მათი სპორტული კარიერა. მარიამმა ვერცხლის, ხოლო სალომემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამ წარმატების შემდეგ, მწვრთნელმა ტყუპებს

ვარჯიშის გაგრძელება შესთავაზა, ვინაიდან მათში დიდ ტალანტს ხედავდა, დები დათანხმდნენ და 2021 წლის ოქტომბერში დაიწყეს თელავის ტირში ვარჯიში, რასაც დღესაც აგრძელებენ.

მარიამ ფროდიაშვილისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 2024 წლის ევროპის ჩემპიონატი, სადაც მან ახალგაზრდებში ევროპის რეკორდი დაამყარა და სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ მიღწევით, საქართველოს სროლის სპორტის ისტორია განახლდა. ამავე წელს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მარიამი ნომინაციაში „ოლიმპიური

იმედი“-ს გამარჯვებული გახდა. მარიამი აღნიშნავს, რომ ამდენი თავდაუზოგავი შრომის შემდეგ, ეს ყოველივე მისთვის საამაყოა, რადგან მისი დასახული მიზნები ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება. განსაკუთრებით ბედნიერების მომტანია, როდესაც საქართველოს დროშა სხვა ქვეყნებში ფრიალებს და ქართული ჰიმნი ისმის.

სალომე ფროდიაშვილი გამოარჩევს შოთა ქველიაშვილს ჩემპიონატს, სადაც ტრავმის გამო ერთწლიანი პაუზის განმავლობაში თითქმის ვერ ვარჯიშობდა და შესაბამისად, შეჯიბრზე გასვლა არ სურდა, მაგრამ მწვრთნელების დაჟინებული თხოვნით, მან მაინც იასპარეზა, შედეგად კი პირადი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონატიც მოიგო. ასევე, 2022 წლის ევროპის ჩემპიონატზე, მიუხედავად მკლავის ტკივილისა, სალომე მისმა ბრძოლისუნარიანობამ ფინიშამდე მიიყვანა და ის უმცროს ასაკში საქართველოს ნაკრებიდან პირველი იყო, რომელმაც მედალი მოიპოვა, რაც მისთვისაც მოულოდნელი იყო. სალომე აღნიშნავს, რომ სროლა ყველაზე რთული სპორტია, რაც ოდესმე უცდია, და სწორედ მაშინ დანრმუნდა, რომ სროლა ნამდვილად იყო ის საქმე, რომელიც მთელი ცხოვრება სურდა ეკეთებინა.

დების ყველაზე დიდი მოტივატორი მათი მომავალი „მე“-ა. სალომე აღნიშნავს, რომ ხანდახან წარმოუდგენია, როგორ უდგას წინ მისი მომავალი „მე“, რომელმაც უკვე მიიღწია იმ მიზნებს, რისთვისაც ახლა მთელი ენერგიით შრომობს. ეს ეხმარება

სიმშვიდის შენარჩუნებაში მაშინ, როდესაც რაღაც არ გამოდის. ერთხელ მოისმინა, რომ შეიძლება მიზეზი, რატომაც რაღაც ძალიან გინდა, არის ის, რომ შენს მომავალ „მეს“ უკვე აქვს ის, ასე რომ, უბრალოდ უნდა მოეშვა, რადგან რაც შენთვისაა, ის მაინც შენი იქნება.

სალომე და მარიამ ფროდიაშვილები დამწყებ მსროლელებს ურჩევენ, რომ სროლის საფუძველი ნებისყოფა, დისციპლინა და კარგი ანალიზის უნარია.

„არასდროს დანებდეთ და ბოლომდე იბრძოლეთ იმისთვის, რაც გსურთ, მაგრამ ეს არ გააკეთოთ არც მედლისთვის და არც ალიარებისთვის, გააკეთეთ იმიტომ, რომ გაბედნიერებთ, ხოლო თუ არ გამოგივათ, თავს ნუ დაიდანაშაულებთ, რადგან ბოლომდე სცადეთ. შეიძლება ახლა არ გამოვიდა, მაგრამ საცდელად ხვალინდელი დღეც არის და კიდევ უამრავი დღეა ამისთვის. შეიძლება ისე სწრაფად ვერ ირბინო, როგორც სხვებმა, მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა, ირბენ, ივლი თუ იხიხიხ, მთავარი ისაა, რომ დღეს შენ გუშინდელზე წინ ხარ. და დაიმახსოვრეთ, გამარჯვებული არის ის, ვინც დამარცხდა და კიდევ ერთხელ სცადა.“ – ამბობს სალომე ფროდიაშვილი.


სამომავლოდ, დები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, შემდეგ კი რამდენიმე შეჯიბრში აქვთ დაგეგმილი ზაფხულამდე. იმედოვნებენ, რომ ამით მათი სეზონი წარმატებით დასრულდება.

მარიამ მარკოზაშვილი

სპორტის სიახლეები

ძიუდო

17 იანვარს, ქ. თბილისში გაიმართა, საქართველოს ჩემპიონატი 2008-2010 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.



სადაც, ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“-ს ძიუდოისტმა მარიამ გულიაშვილმა, საპრიზო I ადგილი დაიკავა, ხოლო 8 თებერვალს, მან, კადეტთა გენუის ევროპული თასის ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა! მარიამმა აქაც შესანიშნავად იასპარეზა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

14 თებერვალს, ქ. თბილისში, გაიმართა ძიუდოს სარეიტინგო ტურნირი 2011-2012 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. სადაც, ააიბ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლის ძიუდოისტმა ლიკა წულუკიძემ საპრიზო III ადგილი დაიკავა.

15 თებერვალს, ქ. თბილისში, გაიმართა სარეიტინგო ტურნირი 2009-2010 წლებში დაბადებული ვაჟ ძიუდოისტთა შორის. სადაც სპორტული სკოლა „თელავი“-ს სპორტსმენმა, გოგა შარვაშიძემ წარმატებით იასპარეზა და საპრიზო II ადგილი დაიკავა.

16 თებერვალს, სარეიტინგო ტურნირში, რომელშიც 2009-2010 წლებში დაბადებული ძიუდოისტები მონაწილეობდნენ, ააიბ „თელავის“ ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი“-ს სპორტსმენმა, გიორგი მტირალიშვილმა წარმატებით იასპარეზა და საპრიზო I ადგილი დაიკავა.

კრიკი

თებერვლის ბოლოს იმართება საქართველოს ჩემპიონატი კრიკში, ჭაბუკ მოკრივეთა შორის, სადაც ჩვენი სკოლის მოკრივეები იღებენ მონაწილეობას: ერეკლე მაისურაძე, ვასიკო ივავიშვილი, ლუკა ჯავახიშვილი, ლუკა ბოჭორიშვილი,

სანდრო გურასაშვილი, ილია მორბედაძე. შეჯიბრი იმართება ქ. ბათუმში. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს.

ააიბ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში „თელავი“ შემავალი სპორტის სახეობების წარმომადგენლები მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობენ სხვადასხვა ფედერაციების ეგიდით ჩატარებულ ტურნირებზე და ღონისძიებებზე. წლის დასაწყისში გამართულ შეჯიბრებებზე სპორტსმენებმა რამდენიმე წარმატებაც მოიპოვეს:

ჭადრაკი

იანვრის ბოლოს, საგარეჯოში გაიმართა კახეთის რეგიონალური ჩემპიონატი 8 და 12 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელზეც წარმატება მოიპოვეს:

U – დანიელ კალანდაძე III ადგილი

U – ნანაკა გორგიშელი III ადგილი

15-16 თებერვალს გურჯაანში გამართული კახეთის რეგიონალური ჩემპიონატის (14 და 18 წლამდე დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა შორის) შედეგები ასეთია:

U-14 ანდრია არუთინოვი I ადგილი

U-14 ალექსანდრე თაბერაძე II ადგილი

U-18 ვაკო ჯავახიშვილი II ადგილი

ურბნაშრომი

26-30 იანვარი, მცხეთა. საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პირველი წრე.



ააიბ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“-ს ფრენბურთის გუნდმა შეიძივე თამაში მოიგო.

სერგო ასლანიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

თელავის ისტორიულ მუზეუმში ელენე ახვლედიანის სახელობის თელავის სამხატვრო სკოლის დამაარსებლისა და თელავის საპატიო მოქალაქის, სერგო ასლანიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.



გამოფენის გახსნას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სერგო ასლანიშვილის ოჯახის წევრები, მისი მოსწავლეები და ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის

ამჟამინდელი მოსწავლეები ესწრებოდნენ.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილმა, სამხატვრო სკოლის დირექტორმა მაია ციხისთავმა და სხვებმა. მათ მადლიერებით გაიხსენეს სერგო ასლანიშვილი, მისი ღვაწლი თელავის სახელოვნებო ცხოვრებისა და კულტურის განვითარებაში.

„ნამუშევრები მოვიძიეთ თელაველების კერძო კოლექციებიდან, თბილისიდან მოვიწვიეთ სერგო ასლანიშვილის ყოფილი მოსწავლეები, შალვა მატუაშვილი, ზაქარია ფიცხელაური“. – აღნიშნა მაია ციხისთავმა.

სერგო ასლანიშვილი, მის მიერ 1962 წელს დაფუძნებული სამხატვრო სკოლის დირექტორი 2006 წლამდე იყო, თელავის საპატიო მოქალაქის სტატუსი კი 2009 წელს მიენიჭა.

თელავის ისტორიულ მუზეუმში სერგო ასლანიშვილის ნამუშევრები 2 კვირის განმავლობაში იქნება გამოფენილი.

მადლიერება

არ არსებობს სიტყვები რომლითაც შეეძლებ მადლიერება გამოვხატო თელავის შ.პ.ს ავთანდილ ყაზბარაშვილის კლინიკის მიმართ. დედას, იზოლდა ზუტუაშვილს, აქვს თირკმელების ქრონიკული უკმარისობა. არსებული დაავადებისგან გამომდინარე, დედა აღნიშნულ კლინიკაში რამდენიმეჯერ გადავიყვანე. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა კლინიკაში არსებულმა სამედიცინო დისციპლინამ, პასუხისმგებლობამ, ექიმების მაღალი დონის კვალიფიკაციამ, გულისხმირებამ, თავდაუზოგავმა ენერგიამ...

მადლობა მინდა გადაუხადო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ავთანდილ ყაზბარაშვილს; კლინიკის სამკურნალო დარგის მენეჯერს – ელდარ

ბალათრიშვილს, ორთოპედ-ტრავმატოლოგს – ზურა ამისულაშვილს. თერაპიულ განყოფილებას – თერაპევტ შორენა ხაზარაძეს, მთავარ ექთანს თამარ მამალაშვილს, რეანიმაციულ განყოფილებას, რეანიმაციულ დაავადების ტყვემალაძეს, ანესთეზიოლოგ გელა გოგიას. კარდიოლოგიის განყოფილების ექიმებს – ეკა შუბითიძეს, ხათუნა გელაშვილს. ღმერთმა ამრავლოს ასეთი ექიმები.

პატივისცემით, მზია ხუტაშაშვილი.

რედაქტორი:
ნალი ცაიტიშვილი
telavisgazetiinfo@gmail.com